სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

26 დეკემბერი 2024

N 739/ს

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

თერჯოლის მუნიციპალიტეტში, სოფ. კვახჭირში შპს „ასტექის“ ასფალტისა და სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრეში) გადამამუშავებელი საწარმოების ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

შპს „ასტექის“ მიერ, გზშ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილია თერჯოლის მუნიციპალიტეტში, სოფ. კვახჭირში არსებული ასფალტის და სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრეში) გადამამუშავებელი საწარმოების ექსპლუატაციის პირობების ცვლილების სკრინინგის განცხადება.

2020 წლის 10 ივნისს თერჯოლის მუნიციპალიტეტში, სოფ. კვახჭირში, შპს „კომპანია ბლექ სი გრუპის“ ასფალტის და სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრეში) გადამამუშავებელი საწარმოების, ასევე, ნავთობპროდუქტების საცავის (ავტოგასამართი სადგური) მოწყობასა და ექსპლუატაციაზე გაცემულია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება (ბრძანება № 2-474). 2022 წლის 21 ივლისს შპს „კომპანია ბლექ სი გრუპზე“ გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გადაეცა შპს „ასტექს“ (ბრძანება № 2-511).

სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ დამატებით განხორციელდა შპს „ასტექის“ კუთვნილი ობიექტის ინსპექტირება და 2023 წლის 15 დეკემბერს „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ 57^1 მუხლით (წიაღით სარგებლობა სათანადო ლიცენზიის გარეშე) და 79^7 მუხლის პირველი ნაწილით (სკრინინგის პროცედურისადმი დაქვემდებარებული საქმიანობის სკრინინგის გადაწყვეტილების გარეშე განხორციელება) გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ფაქტზე, კომპანიის მიმართ, შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ №085487 ოქმი.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, შპს „ასტექის“ კუთვნილი ობიექტი განთავსებულია თერჯოლის მუნიციპალიტეტში, სოფ. კვახჭირში, სახელმწიფოს საკუთრებაში არსებულ 75 901 $მ^2$ ფართობის მქონე, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 33.01.35.456), რომელსაც კომპანია ფლობს იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე. საწარმოს საკადასტრო საზღვრიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი დაშორებულია დაახლოებით 100 მეტრით. საწარმოს ტერიტორიის სამხრეთით, ჩრდილოეთით და აღმოსავლეთით ჩამოედინება მდ. წყალწითელა, რომელიც აღმოსავლეთით ტერიტორიის საკადასტრო საზღვრის უკიდურეს წერტილს უახლოვდება დაახლოებით 10 მეტრით. საწარმოს აღმოსავლეთით, მდ. წყალწითელას პარალელურად, საწარმოდან დაახლოებით 350 მეტრში მიედინება მდ. ყვირილა, ხოლო დასავლეთით 13 მეტრში მდებარეობს რიონჰესის არხი.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, გზშ-ის ანგარიშითა და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით, ობიექტზე გათვალისწინებულია ასფალტის და ბეტონის წარმოება, ასევე, სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრეში) გადამუშავება, რისთვისაც ტერიტორიაზე მოწყობილია შესაბამისი ძირითადი და დამხმარე ინფრასტრუქტურა. ობიექტზე აგრეთვე განთავსებულია ავტოგასამართი სადგური, რომლის

შემადგენლობაში შედის 30 000 ლიტრი ტევადობის დიზელის მიწისზედა ლითონის რეზერვუარი, შესაბამისი სვეტი და განქრევის მილი. დიზელის შესანახი რეზერვუარი მოწყობილია გადახურულ, ბეტონის საფარის მქონე ზედაპირზე, რომლის პერიმეტრზე შემოვლებულია 0,25 მეტრი რკინა-ბეტონის კონსტრუქციის ბარიერი. ავტოგასამართი სადგურის საოპერატორო მოედანი ასევე მოქცეულია სახურავის ქვეშ მობეტონებულ ფართობზე და არსებული საწრეტი ღარის საშუალებით დაკავშირებულია მიწისქვეშა რეზერვუართან, სადაც იკრიბება შემთხვევით დაღვრილი ნავთობპროდუქტები. ასფალტის საწარმოს წლიური წარმადობა შეადგენს წელიწადში 80 000 ტონას, ბეტონის საწარმოს წლიური წარმადობა შეადგენს 360 000 ტონას, ხოლო ქვიშა-ხრეშის გადამამუშავებელი საწარმოს წლიური წარმადობა – 347 000 ტონას.

წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით, გზშ-ის ანგარიშითა და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული ბიტუმის 3 რეზერვუარის ნაცვლად (თითოეული 45 ტონა), ასფალტის საწარმოს შემადგენლობაში განთავსებულია ბიტუმის 5 რეზერვუარი (ერთი 60 ტონა და ოთხი 45 ტონა), რომლებიც აღჭურვილია შესაბამისი სარქველებით, შემაერთებელი კომპონენტებით და მილსადენის სისტემით. ამასთან, ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით ობიექტზე აღარ ხდება ბეტონის წარმოება, ხოლო ბეტონის საწარმოს გაუკეთდა დემონტაჟი და შესაბამისი დანადგარები გატანილია ტერიტორიიდან.

სკრინინგის განცხადების თანახმად, ობიექტზე წყალი გამოიყენება სასმელ-სამეურნეო და საწარმოო მიზნებისთვის, ასევე ტერიტორიის მოსარწყავად. სასმელი წყალი ტერიტორიაზე შედის ბუტილირებულად, ხოლო სამეურნეო დანიშნულების წყალი – ავტოცისტერნებით და გროვდება 2 $მ^3$ მოცულობის წყლის სამარაგო რეზერვუარში. გზშ-ის ანგარიშითა და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით, ობიექტზე საწარმოო დანიშნულებით წყლის გამოყენება გათვალისწინებულია სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავების პროცესში, ქვიშა-ხრეშის რეცხვისთვის, ხოლო ბეტონის წარმოებაში – ინგრედიენტის სახით (21 000 $მ^3$/წელ). საწარმოო დანიშნულების წყლის ამოღება ხორციელდება მდ. წყალწითელადან, შემდეგ GPS კოორდინატებზე: X-313870.46, Y-4672570.11. ვინაიდან, ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით, ობიექტზე ბეტონის საწარმო აღარ ფუნქციონირებს, მდ. წყალწითელადან ასაღები წყლის წლიური რაოდენობა შემცირდა და საწარმოო დანიშნულებით წყალაღება გათვალისწინებულია მხოლოდ ქვიშა-ხრეშის რეცხვისთვის.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ობიექტზე წარმოიქმნება სამეურნეო-საყოფაცხოვრებო, საწარმოო და სანიაღვრე ჩამდინარე წყლები. გზშ-ის ანგარიშითა და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით, ტერიტორიაზე გათვალისწინებული იყო ორი სალექარი, საიდანაც ერთში უნდა გაწმენდილიყო ქვიშა-ხრეშის რეცხვისას წარმოქმნილი საწარმოო ჩამდინარე წყლები, ხოლო მეორეში – სანიაღვრე წყლები. ფაქტობრივი მდგომარეობით, ობიექტზე განთავსებულია ერთი ჰორიზონტალური ოთხსექციანი სალექარი, რომელიც ვერ უზრუნველყოფს ჩამდინარე წყლების სათანადოდ გაწმენდას. აღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით, დაგეგმილია არსებული სალექარის მოდერნიზება/რეკონსტრუქცია. განახლებული სალექარი წარმოდგენილი იქნება მართკუთხედის ფორმის ჰორიზონტალური რკინაბეტონის რეზერვუარით (საერთო მოცულობა – 432 $მ^3$; პარამეტრები – სიგრძე 24 მ; სიგანე 6 მ; სიღრმე 3 მ), რომელსაც ექნება ერთმანეთთან დაკავშირებული სამი სექცია. აღნიშნული სექციები ერთმანეთისგან გამოყოფილი იქნება რკინაბეტონის ტიხრებით. სალექარში შეიკრიბება როგორც საწარმოო, ისე სანიაღვრე ჩამდინარე წყლები, რომელიც დაბინძურებული იქნება მხოლოდ შეწონილი ნაწილაკებით. შეწონილი ნაწილაკების ძირითადი ნაწილი დაილექება სალექარის პირველ სექციაში, რის შემდგომაც, გაწმენდილი წყალი, დალექვის პროცესის გასაგრძელებლად, გადავა მეორე და მესამე სექციებში. სალექარი უზრუნველყოფს შეწონილი ნაწილაკების 60 მგ/ლ-მდე გაწმენდას. სალექარიდან გამოსული გაწმენდილი წყალი, 200 მეტრი სიგრძის ღია (გრუნტის) არხით, ჩაშვებული იქნება მდ. წყალწითელაში (წყალჩაშვების წერტილის GPS კოორდინატები: X-313861.70, Y-4672561.90). რაც შეეხება ობიექტზე წარმოქმნილ სამეურნეო-საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლებს, ტერიტორიაზე მოწყობილია საასენიზაციო ამოსაწმენდი ორმო, რომლის დაცლა ხდება პერიოდულად, შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, ობიექტის ფუნქციონირების ეტაპზე ადგილი აქვს მავნე ნივთიერებების წარმოქმნას და მათ ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევას. სკრინინგის განცხადებაში,

ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გათვალისწინებით, წარმოდგენილია ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება, იდენტიფიცირებულია მავნე ნივთიერებების გაფრქვევის წყაროები და აღნიშნული წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული მავნე ნივთიერებების რაოდენობრივი მაჩვენებლები. ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით, ობიექტზე ბიტუმის 3 რეზერვუარის ნაცვლად, მოწყობილია ბიტუმის 5 რეზერვუარი, თუმცა, ასევე გასათვალისწინებელია, რომ გაუქმდა ბეტონის წარმოების ტექნოლოგიური ხაზი, რაც დაკავშირებულია ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების შემცირებასთან. შესაბამისად, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების სპეციფიკის გათვალისწინებით, აღნიშნული ცვლილებებით ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე ზემოქმედების მნიშვნელოვან ცვლილებას ადგილი არ აქვს.

სკრინინგის განცხადების თანახმად, ვინაიდან, ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით ტერიტორიაზე დამატებითი ხმაურის წარმომქმნელი წყარო არ განთავსებულა, ხოლო ბეტონის წარმოების ტექნოლოგიური ხაზი გაუქმდა, ობიექტის ფუნქციონირება არ უკავშირდება ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედების მნიშვნელოვან ცვლილებას.

წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, სალექარის განახლება/მოდერნიზაცია არ გულისხმობს ფართომასშტაბიანი სამშენებლო სამუშაოების წარმოებას და შესაბამისად, დაკავშირებული არ იქნება მნიშვნელოვანი რაოდენობის ნარჩენების წარმოქმნასთან. წარმოქმნილი ნარჩენების მართვა განხორციელდება კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმის მიხედვით.

სკრინინგის განცხადების თანახმად, ობიექტის ტერიტორია არ მდებარეობს არქეოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების, ასევე, დაცული და ტყით მჭიდროდ დაფარული ტერიტორიების სიახლოვეს, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები. ექსპლუატაციის პირობების ცვლილება გათვალისწინებულია არსებული საწარმოების ანთროპოგენური ზემოქმედებით სახეცვლილ ტერიტორიაზე და არ უკავშირდება ბიოლოგიურ გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების გაზრდას.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება გამოქვეყნდა გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და გადაიგზავნა თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე განთავსების მიზნით. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, საზოგადოების მხრიდან, აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით, წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები სააგენტოში არ ყოფილა წარმოდგენილი.

სკრინინგის განცხადების შესწავლით დგინდება, რომ ექსპლუატაციის პირობების ცვლილების სპეციფიკის, მასშტაბისა და მახასიათებლების გათვალისწინებით, აღნიშნული ცვლილებებით გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე მოსალოდნელი ზემოქმედების მნიშვნელოვან ცვლილებას ადგილი არ აქვს.

ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-6 ნაწილისა და ამავე კოდექსის მე-5 მუხლის მე-12 ნაწილის საფუძველზე:

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ თერჯოლის მუნიციპალიტეტში, სოფ. კვახჭირში შპს „ასტექის“ ასფალტის და სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრეში) გადამამუშავებელი საწარმოების ექსპლუატაციის პირობების ცვლილება **არ დაექვემდებაროს** გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. შპს „ასტექი“ ვალდებულია, საქმიანობა განახორციელოს 2020 წლის 10 ივნისს გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით (ბრძანება №2-474) განსაზღვრული პირობების შესაბამისად, წარმოდგენილი ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გათვალისწინებით;
3. შპს „ასტექი“ ვალდებულია, სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 2 თვის ვადაში, წარმოდგენილი ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გათვალისწინებით, უზრუნველყოს განახლებული ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის

(ზდგ) ნორმების პროექტის სააგენტოსთან შეთანხმება, ხოლო ექსპლუატაციის ეტაპზე უზრუნველყოს სააგენტოსთან შეთანხმებული გამოყოფისა და გაფრქვევის წყაროების პარამეტრების დაცვა და შესაბამისად დადგენილი ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტის შესრულება;

4. შპს „ასტექი“ ვალდებულია, სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 2 თვის ვადაში, წარმოდგენილი ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გათვალისწინებით, უზრუნველყოს განახლებული ზედაპირული წყლის ობიექტში ჩამდინარე წყლებთან ერთად ჩაშვებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების ნორმების (ზდჩ) პროექტის სააგენტოსთან შეთანხმება, ხოლო ექსპლუატაციის ეტაპზე უზრუნველყოს სააგენტოსთან შეთანხმებული ზღვრულად დასაშვები ჩაშვების ნორმების დაცვა;
5. შპს „ასტექისთვის“ ზემოაღნიშნული პირობები წარმოადგენს 2020 წლის 10 ივნისს გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით (ბრძანება №2-474) განსაზღვრული პირობების განუყოფელ ნაწილს და მათი შესრულება სავალდებულოა;
6. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „ასტექს“ და სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს;
7. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ასტექის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
8. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე;
9. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ვასილ გედევანიშვილი

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

https://edocument.ge/mea/public/#/739-21-4-202412261129

QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE